ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

N 4 ოქმი

28.03.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, ელეონორა არჩაია, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, მერაბ ჭოხონელიძე, გრიგოლ შუშანია, ანა კოხოძე, ქეთევან ფხაკაძე, ნინო ბიბიჩაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი ქარქაშაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

ააიპ-ქ.ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი ქალბატონი მაია ნადარეიშვილი

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თამჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული გვაქვს ორი საკითხი,

1. ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადდგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. ააიპ-ქ.ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორის ქალბატონი მაია ნადარეიშვილის ანგარიში.

პირველ საკითხს წარმოგვიდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

მოგესალმებით, სოციალურ საკუთხთა სამსახურმა გავამზადეთ საბიუჯეტო ცვლილებები, რომლებიც შეჯერდა, იმის გამო, რომ უკეთ მოვემსახუროთ საზოგადოებას, რადგან ჩვენ საზოგადოების დაკვეთას ვასრულეთ, მიწოდებაც უნდა იყოს მაღალი სტანდარტით და გაცნობებთ, რომ, 7-ვე ქვეპროგრამაში შედის ცვლილებები, აქედან თანხის დამატება არის მხოლოდ ერთ პროგრამაზე, დანარჩენებზე კი ჩანაწერის დაზუსტება. ვცდილობთ, რომ ჩანაწერები იყოს გამართული, რადგან მოქალაქემ კარგად გაიგოს თუ რა ბენეფითი ეკუთვნის მას. 1. აუტისმის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში. 2. სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლების პროგრამაში 3. მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამში 4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ქვეპროგრამში 5. სარიტუალო დახმარების ქვეპროგრამში6. შინმოვლის ქვეპროგრამში შედის სიტყვიერი ცვლილებვები ხოლო 7. სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერის ქვეპროგრამას რაც შეეხება ამ პროგრამას, შეეცვალოს სახელი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და დაემატოს 60 000 ლარი. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას, კერძოდ:

ა) ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს. ახალდაქორწინებული წყვილი ერთჯერადი დახმარების მისაღებად, ქორწინებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წერილობით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს მერს/სოციალურ საკითხთა სამსახურს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს წყვილის პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და საბანკო რეკვიზიტები. დახმარება გაიცემა ერთჯერადად, 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

ბ) ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ახალშეძენილი შვილიანი ოჯახი, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს. 2022 წელს შეძენილ თითოეულ

შვილზე ოჯახს გაეწევა მატერიალური დახმარება. მშობელი განცხადებით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს/სოციალურ საკითხთა სამსახურს მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ქორწინების მოწმობა, ახალშეძენილი შვილის დაბადების მოწმობა, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და საბანკო რეკვიზიტები. დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თითოეულ შეძენილ შვილზე 500 /ხუთასი/ ლარის ოდენობით.

აღნიშნული ქვეპროგრამით ვერ ისარგებლებენ „სოციალური ღონისძიებების" ქვეპროგრამით გათვალისწინებული „I იანვარს ქ. ქუთაისში დაბადებული ახალშობილების მატერიალური დახმარებით" მოსარგებლე და ,,მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების" ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები.

შინმოვლის ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 100'001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები /შემდგომში - მოსარგებლე/, რომელთათვისაც ,,უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის" მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

მოსარგებლეები არ არიან „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატური მზუნველობის სახელმწიფო პროგრამის" მოსარგებლეები, ასევე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ან ზრუნვით დაწესებულებაში მომსახურების მიმღები პირები.

მოსარგებლეთა კატეგორია განისაზღვრება ბართელის ინდექსის მიხედვით:

ა/ I კატეგორია: ბართელის ინდექსი ნაკლებია 70 ერთეულზე;

ბ/ II კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია ან ტოლია 70 ერთეულისა და ნაკლებია 80 ერთეულზე;

გ/ III კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია ან ტოლია 80 ერთეულისა და არ აღემატება 95 ერთეულს.

მოსარგებლის შეფასებას და ბართელის ინდექსის მინიჭებას მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია ახდენს არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული

უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულმა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებმა, ბენეფიციარის თავშესაფრის დატოვებამდე სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა წარუდგინონ მომართვა და დასკვნა-რეკომენდაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადების მითითებით. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განცხადება პირის/ოჯახის ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა ქვეპროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, არაუმეტეს 1 წლისა. ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, აქაც მხოლოდ ჩანაწერში შევიტანეთ ცვლილება, რომელსაც პრაქტიკაში ისედაც ვახორციელებთ, ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩარიცხვა წარმოებს ორ ეტაპად, საბიუჯეტო წლის დასაწყისი ანუ იანვრის თვე, და 1 ივნისი ანუ ვაკანტურ ადგილზე მომლოდინათა რიგში მყოფი პირის ჩართვისთვის აუცილებელია დოკუმენტაცია წარმოადგინოს პირველ დეკემბრამდე, ქვეპროგრამა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:
ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – 15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია /„ICD–10"/ კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები /„F84.0"; „F84.9"/, სარეაბილიტაციო მომსახურებას. ქვეპროგრამაში პირველადი ჩართვის შემთხვევაში ბენეფიციარის დიაგნოზი განსაზღვრული უნდა იყოს „ADOS–2" ტესტირების აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგის საფუძველზე. მიმწოდებელი, ქვეპროგრამაში ჩართვისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამის კრიტერიუმებს. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის სიას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის /დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა/ ასლი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის /მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან

პასპორტი/ ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი /საინფორმაციო ბარათი/; მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა //ფორმა №IV–100/ა//, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS–2" აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, „ADOS" ტესტირების შედეგი; ამასთან, სერვისით უწყვეტად სარგებლობისთვის, ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში უნდა იქნეს წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა //ფორმა №IV–100/ა//, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი /ასეთის არსებობის შემთხვევაში/.

მომლოდინეთა სიაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის_სოციალურ საკითხთა სამსახურში, მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის წერილობითი მომართვის საფუძველზე. მომართვას თან უნდა ერთვოდეს ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი/დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა/, დიაგნოზის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი და ქალაქ ქუთაისში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი /საინფორმაციო ბარათი/.

ქვეპროგრამაში ბენეფიციართა ჩარიცხვა იწარმოებს ორ ეტაპად: საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან /იანვრის თვე/ და 1 ივნისიდან. მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გაჩენილ ვაკანტურ ადგილზე, მომლოდინეთა სიაში მყოფი პირის მომავალი საანგარიშო წლის დასაწყისში ჩართვის მიზნით, აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა მიმდინარე წლის 01 დეკემბრამდე, ხოლო მიმდინარე წლის 01 ივნისიდან ჩაერთვებიან პირები, რომელთათვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა მ/წლის 01 მაისამდე. ქვეპროგრამაში ჩართვისას, პრიორიტეტი მიენიჭება მომლოდინეთა რიგში/სიაში მყოფ სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლის ქულა არ აღემატება 70000–ს; ასევე იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განმახორციელებელს განცხადებით.

ქვეპროგრამით განსაზღვრულ სერვისებს წარმოადგენს: მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა; ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალურ – ემოციური, სოციალური განვითარების, თვითმოვლისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ მოიცავს საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური – ინტერდისციპლინური გუნდის – რამდენიმე სპეციალისტის /ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი/ ფიზიკური თერაპევტი, ლოგოპედი,

სპეციალური პედაგოგი და სხვა/ მიერ, ბენეფიციარისათვის ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, კომპლექსური თერაპიის მიწოდებას, თვეში, არაუმეტეს, 20 ინდივიდუალური სეანსისა (მათ შორის: გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, ფიზიკური თერაპია, არტთერაპია, მუსიკალური თერაპია მათ შორის ჯგუფური თერაპია და სხვა. ასევე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომზადება /მათ შორის, შესაბამისი უნარ–ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება/ და კონსულტირება ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამით განსაზღვრული თითოეული ინდივიდუალური სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ, 1 საათს. პროგრამის ფარგლებში, წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 14 სეანსი. გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ მიმწოდებელ ორგანიზაციებზე ვაუჩერული მეთოდით სრულად, თითოეულ ბენეფიციარზე შემთხვევაში, სეანსების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3/4–ს /15 ვიზიტი/. წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფიციარი არასაპატიო მიზეზით მინიმალურზე ნაკლები რაოდენობის სეანსების მიღების შემთხვევაში იღებს მომსახურების შეწყვეტაზე წერილობით გაფრთხილებას და განმეორებითი შემთხვევის გამოვლენისას მიმწოდებლის მიერ შეუწყდება პროგრამით მომსახურება, ხოლო ჩატარებული სეანსების ანაზღაურება მოხდება შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად. მიმდინარე პერიოდში ქვეყანაში ინფექციით /„COVID–19"/ გამოწვეული შეზღუდვების გამო, ქვეპროგრამის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, შეზღუდვების გაუქმებამდე, ბენეფიციარებისათვის დისტანციური მომსახურების /მოდიფიცირებული ქვეპროგრამა/ მიწოდების შემთხვევაში ანაზღაურდება მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო, დოკუმენტაციის /აღრიცხული ვიზიტების რაოდენობა დამოწმებული ორგანიზაციისა და მშობლის ხელმოწერით/ შესაბამისად. 6 თვეში ერთხელ მომსახურების მიმწოდებლები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგენენ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით /მ.შ. „ABLLS–R", „VB–MAPP", „ESDM" „Curriculum Checklist" და სხვა/ შეფასების შედეგებს. მიმწოდებლის მიერ, შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე /ანაზღაურებას არ ექვემდებარება საშვებულებო დღეები ჯამში 30 კალენდარული დღე/, შემდეგი ფორმის მიხედვით: ინფორმაცია ბენეფიციარების შესახებ /სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი/; ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ /ქცევის გამოყენებითი ანალიზის, მეტყველებისა და ოკუპაციური თერაპიის კურსის თვეში ჩატარებული სეანსების რაოდენობისა და ასანაზღაურებელი თანხის თაობაზე/. ინფორმაცია ბენეფიციარის

კანონიერი წარმომადგენლის შესახებ; ანგარიშ–ფაქტურა, მომსახურების შესაბამისი პერიოდის დამადასტურებელი ვაუჩერი, დამოწმებული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, 2 წლიანი გამოცდილება. ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური ინტერდისციპლინური გუნდის – ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი და სხვა – ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი /10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტი. ამასთან, თუ ქცევითი თერაპევტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, რომელიც არის ბავშვის ემოციურ - ქცევითი აშლილობების მართვის უნარ - ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში, ან მომიჯნავე სპეციალობაში /სპეციალური პედაგოგი, პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი/ და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების, სულ მცირე, 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი /სუპერვაიზერი/, ამასთან, თუ სუპერვაიზერი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, ის ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობას უნდა უწევდეს 5 ქცევით თერაპევტს და შესაბამისად, არაუმეტეს 50 ბენეფიციარს უნდა მართავდეს/, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით /ინსტრუმენტები: „ABLLS", „VB–MAPP", „ESDM" „Curriculum Checklist" და სხვა/; ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება; სრულად გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის საერთაშორისო კურსი, ან მომზადებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ – ტექნიკური ბაზით /თითოეული მოსარგებლისათვის ერთ–ერთზე სერვისის განსახორციელებლად/ ჯგუფური სეანსის შემთხვევაში, ჯგუფში მოსარგებლეების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4, ხოლო ყოველი 2 მოსარგებლისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი არაუმეტეს, 4 ჯგუფური თერაპიისა თვეში; მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ბენეფიციარს სურვილის შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა შეცვალოს მომსახურე ორგანიზაცია მომდევნო თვის 1-ლი რიცხვიდან.

გრიგოლ შუშანია: თანხა თუ გვყოფნის?

ვარლამ გობეჯიშვილი: მილიონ ას ცხრა ათასია, არ გვეყოფა თანხა და დიდი ალბათობით ორ მილიონზე ავალთ.

თეიმურაზ ნადირაძე: ინფორმაცია მაქვს, რომ დიდი რაიონები როგორიცა ზესტაფონი, სამტრედია, ტყიბული, აპირებენ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის პროგრამის წარმოწყებას, ეს ჩვენთვის დიდი შვება იქნება. განტვირთვას მოგვცემს რადგან ვიცით რომ ხელოვნური ჩაწერები ხშირია, სულ არ სიამოვნებთ, იმ ხალხს რომ ზესტაფონიდან და ტყიბულიდან იარონ. ამ პროგრამას თუ ჩაეყარა საფუძველი ისენი სიამოვნებით დაბრუნდებიან და მიიღებენ ამ მომსახურებას თავის რაიონებში.

ვარლამ გობეჯიშვილი: რაც შეეხება სარიტუალო დახმარების ქვეპროგრამას ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ", „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს: ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
000000ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქ. ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19" დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დახმარების მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას გარდაცვლილის ოჯახის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა გარდაცვალების შესახებ, დასკვნა სამედიცინო დაწესებულებიდან.

მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვე პროგრამით სარგებლობს 30 ბენეფიციარი, შევიტანეთ კორექტირება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების /ხმოვანი წნევის აპარატი; შაქრის საზომი აპარატი/ შეძენა. და დავამატეთ პერსონალური ასისტენტის მომსახურება, წინა ბიუჯეტით ვიხდიდით 500 ლარს, გამცილებლისთვის, რომელიც არანაკლებ 20 ვიზიტს ახორციელებდა ქალაქის მაშტაბით, როცა გამოიძახებდა კვეთღად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე, გამცილებელს, არანაკლებ 20 ვიზიტი უნდა

განეხორციელებინა სხვადასხვა მიმართულებით, ბანკში, საჯარო რეესტრში და ესე შემდეგ, ეხლა დავტოვეთ მხოლოდ ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა, შემოვა ასისტირების მომსახურება, სადაც იქნებიან გადამზადებული პროფესიონალი კადრება, მაგრამ სრულად არ ჩაგვიქნევია ხელი ამ მომსახურებაზე, შევთანხმდით რომ პიროვნება რომელიც იყო გამცილებელი მიჩვეულია ბენეფიციარებთან მუშაობას და ასე თუ ისე შეძენილი აქვს ცოდნა, ჩვენ შრომით ხელშეკრულებას გავუფორმებთ, ჩვენ გადავუხდით იმ ხელფასს.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2022 წლის ერთიანი ეროვნულიგამოცდებისათვის.ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ. ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს. აბიტუტიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდგომ. თითოეული მოსწავლის 1 თვის მანძილზე მომზადებისათვის 1 საგანში გამოყოფილია 60 ლარი, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 4 საგნისა. გაწეული მომსახურება დაფინანსდება ვაუჩერული წესით თითოეულ აბიტურიენტზე არაუმეტეს 240 ლარის ოდენობით. ბენეფიციარს ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღება შეუძლია მომსახურების მიმწოდებლისგან, რომელსაც იგი ირჩევს თავისუფალი არჩევანის პრინციპით იმ პირობით, რომ მიმწოდებლის შეცვლა შეუძლია არაუმეტეს 1 თვეში ერთხელ /მომდევნო თვის 1 რიცხვიდან/. მოსწავლე ამოირიცხება პროგრამიდან თუ მას 1 თვის მანძილზე დაუგროვდება 3 არასაპატიო გაცდენა. ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით მსურველი სასწავლო დაწესებულების შერჩევის შემდგომ, განცხადებით მიმართვს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას/ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურს შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით, კერძოდ: პირის ან/და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი მონაცემთა ბაზიდან, ცნობა სასკოლო დაწესებულებიდან და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებისა და საგანთა

რაოდენობების მიხედვით. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი მომდევნო თვის 5

რიცხვამდე წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მომართვა, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი, მომსახურების პერიოდის დამადასტურებელი ვაუჩერი დამოწმებული მომსახურების მიმწოდებელი

ორგანიზაციის მიერ და ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ /ბენეფიციარის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საგანთა დასახელება, პირის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადასტურებული ხელმოწერა/.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, ითვალისწინებს რომ დახმარების მიმღები პირი/ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულმა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებმა, ბენეფიცარის თავშესაფრის დატოვებამდე სოციალურ საკითხთა სამსახურს უნდა წარუდგინონ მომართვა და დასკვნა-რეკომენდაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების ვადების მითითებით. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და განცხადება პირის/ოჯახის ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა ქვეპროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, არაუმეტეს 1 წლისა. ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურებშეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

მამუკა რიჟამაძე: მინდა კენჭის ყრაზე და ვაყენო აღნიშნული სიკითხი, გთხოვთ ხელი აწევით დამიდასტუროთ უჭერთ თუ არა მხარს აღნიშნულ საკითხებში შევიდეს ცვლილებები ?

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, აღნიშნულ ცვლილებებს.

მეორე საკითხს წარმოგვიდგენს ააიპ-ქ.ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დირექტორი ქალბატონი მაია ნადარეიშვილი

მაია ნადარეიშვილი: მოგესალმებით, ეპიდზედამხედველობის საქმიანობის მიმართულებით:

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"საქართველოს კანონის თანახმად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში დელეგირებული უფლებამოსილებებისა

და ცენტრალური სახელმწიფო საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების მოთხოვნათა გათვალისწინებით 2021 წლის მანძილზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ფარგლებში განსაზღვრულ მოთხოვნათა საფუძველზე ჩვენს ცენტრში ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან სასწრაფო (ფ 58/1) და ყოველთვიური (ფ 58/3) შეტყობინების საფუძველზე დაფიქსირდა ნოზოკომიური პნევმონიის 10,ნოზოკომიური ბაქტერიემიის 4,საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექციის 7, 15-49 წლის ქალთა გარდაცალების 7, ბრუცელოზის 32, ლეპტოსპიროზის 40, მწ.ვირუსული ჰეპატიტი B 5 ქრ.ვირუსული ჰეპატიტი B 91 ,ქრ.ვირუსული ჰეპატიტი C 303,ჩუტყვავილას 38, ქუნთრუშას 3,სალმონელოზის 9, შიგელოზის 4, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვის 433 ,ინფექციური წარმოშობის დიარეის 1728 შემთხვევა.

2019 წლის 25 მარტის N 01-26/ნ ბრძანების საფუძველზე ჩატარდა ეპიდემიოლოგიური მოკვლევა ნოზოკომიური პნევმონიის 10,ნოზოკომიური ბაქტერიემიის 4,საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექციის 7, 15-49 წლის ქალთა გარდაცვალების 7, ბრუცელოზის 12,ყივანახველას 4, ლეიშმანიოზის 4, ბორელიოზის 32, ლეპტოსპიროზის 40, მწ.ვირუსული ჰეპატიტი B 5,სალმონელოზის 9, შიგელოზის 4 კერაში. ყველა მოკვლეული შემთხვევა დაფიქსირებულია დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში.

გადამდებ დაავადებათა ინფორმაციის რუტინული ანალიზის,შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი 12 სტაციონარში 3-ჯერადად. 9 პოლიკლინიკაში 4-ჯერადად. 4 სამშობიარო სახლში 3-ჯერადად, 7 დისპანსერში 3-ჯერადად.სასწრაფო დახმარების სადგურში 2-ჯერადად.

2021 წლის განმავლობაში გრიპისა და გრიპისმგვარი დაავადებების რუტინული ეპიდზედამხედველობის ფარგლებში ქ.ქუთისის სამედიცინო დაწესებულებებიდან დაფიქსირდა 5181 გრიპისა და მწვავე რესპირატორული ინფექციების ამბულატორიული შემთხვევა (ILI) და 1580 გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავდებების ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა (SARI).

2021 წლის მანძილეზე ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირდა covid-19 18 736 --- შემთხვევა. მეთვალყურეობა დამყარდა 56 208---კონტაქტირებულ პირზე. აქედან საკარანტინე სივრცეში გადაყვანილი იქნა -250-- პიროვნება,ხოლო თვითიზოლაციაში იმყოფებოდა 37 472--- ადამიანი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც,რომ სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად მთელ რიგ საგანმანათლებლო დაწესებულებეში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები როგორც მოსწავლეებში,ასევე პედაგოგებში,რის გამოც მთელი რიგი კლასის მოსწავლეები

პედაგოგებთან ეთად გადავიდნენ თვითიზოლაციაში და დისტანციური სწავლების რეჟიმზე.ასევე იყო სკოლების მთლიანად დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანის ფაქტებიც. ანალოგიური სიტუაცია იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სადაც აღსაზრდელებისა და აღმზრდელების კოვიდინფიცირებასთან დაკავშირებით დახურული იყო ბაღების და ჯგუფების გარკვეული რაოდენობა.

კორონავირუსის სახელმწიფო პროგრამის მიმართულებით

ახალი კორონავირუსით(SARS-COV-2)გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქ.ქუთაისის მასშტაბით ჩართულია 39 სამედიცინო დაწესებულება, რომლებიც ახორციელებენ რანდოლულ, გეგმიურ და სიმპტომურ პაციენტთა ტესტირებას, რომელთაც სახარჯი მასალით უზრუნველყოფას ახდენს ჩვენი ცენტრი. 2021 წლის განმავლობაში ჩვენი ცენტრის მიერ მათზე კოვიდტესტირებისათვის გაცემული იქნა 161 864 პჯრ და 355 310 ანგიტენ/ანტისხეულის სწრაფი მარტივი ტესტები. ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ჩვენი სამსახურიც. 2021 წლის განმავლობაში ჩვენი ცენტრის მიერ საკუთრივ პჯრ მეთოდით გამოკვლეულ იქნა 9025 პიროვნება ,ხოლო სწრაფი მარტივი ტესტით -9995.

ანტირაბიული საქმიანობის მიმართულებით:

ანტირაბიული ზედამხედველობის ფარგლებში მიმდინარეობდა ქალაქის 4 ანტირაბიული კაბინეტის (დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი, ქ.ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი , წმ.ნიკოლოზის სახ. ონკოლოგიური ცენტრი და წმ. დავით აღმაშენებლის ქსენონი -საეკლესიო საავადმყოფო) მუშაობის ყოველთვიური მონიტორინგი. კერძოდ, ანტირაბიული კაბინეტების მიერ დაზარალებულთათვის გაწეული ინტერვენციების, სამედიცინო ბარათებისა და სასწრაფო შეტყობინებათა ბარათების შევსების ხარისხის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის ინფორმაციის დროული მოწოდების შეფასება. ანტირაბიული მასალის (ვაქცინები, იმუნოგლობულინი) მიღება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისაგან და შემდგომში მათი გადანაწილება ანტირებიული კაბინეტებისათვის.

იმის გამო, რომ ქ.ქუთაისის ანტირაბიოული კაბინეტები ემსახურება პაციენტებს სხვადასხვა რეგიონებიდან ხდებოდა დაზარალებულთა შესახებ ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი რაიონული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენრტრებისათვის შემდგომი ზედამხედველობის მიზნით.

სისტემატურად მიმდინარეობდა ქ.ქუთაისის ვეტ. სამსახურისათვის ინფორმაციის გადაცემა ცხოველებზე მეთვალყურეობის დაწესების თაობაზე.

2021 წლი მანძილზე ანტირაბიული კაბინეტების მიერ მომსახურება გაეწია 5529 პაციენტს. მათ შორის, 15 წლამდე---1890. პატრონიანი ცხოველის მიერ დაზარალებულია 3506, უპატრონო ცხოველის მიერ 2023, დაზარალებული 5529 პაციენტიდან ქუთაისის

მაცხოვრებელია 2981, 15 წლამდე 1233. პატრონიანი ცხოველის მიერ დაზარალებულია 2116, უპატრონო ცხოველის მიერ 866.

ოქტომბრის თვეში ქ.ქუთაისში პატრონიან ცხოველში(ძაღლი) დადასტურდა ცოფის შემთხვევა. ნოემბრის თვეში ამ ძაღლის მეპატრონეს ,რომელიც დაკბენილი იყო საკუთარი ცხოველსი მიერ, კლინიკურად დაუდასტურდა ცოფის დიაგნოზი. ვინაიდან მას შეწყვეტილი ჰქონდა ანტირაბიული მკურნალობა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და პიროვნება გარდაიცვალა ლაბორატორიულად და კლინიკურად დადასტურებული ცოფის დიაგნოზით.

იმუნიზაციის და დედათა და ბავშვთა სახ.პროგრამის მიმართულებით:

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში ქ.ქუთაისის მასშტაბით მონაწილეობას ღებულობს 25 სამედიცინო დაწესებულება.აქედან 0-18 წლის ასაკში გეგმიურ ვაქციანციას ატარებს 12 დაწესებულება.

იანვრის თვეში გაკეთდა ქ.ქუთაისის მოსახელეობისათვის საჭირო ვაქცინებისა და სახარჯი მასალის შეკვეთა 2021 წლისათვის .ასევე მიმდინარეობდა მუშაობა 2020 წელს მაქცინებით მოცვის მაჩვენებელზე.

წლის განმავლობაში საჭიროებისამებრ სამედიცინო დაწესებულებებზე ხდებოდა გაცემა ვაქცინების,სპეც.შრატების და ანტირაბიული მასალის.

ყოველთვიურად ხორციელდებოდა გეგმიური მონიტორინგი პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებში.იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში: ყოველთვიურად ხორციელდება პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებიდან შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მიღება, ანალიზი და წარდგენა დკსჯეც-ის იმერეთის ზონალურ სამსახურში, ასევე მათი ელექტრონულ მოდულში დამუშავება. საჭიროებისამებრ ხდება დაწესებულებებზე ასაცრელი მასალისა და სახარჯი მასალის გაცემა.

აპრილის თვის ბოლო კვირას, იმუნიზაციის კვირეული ფარგლებში, ტელევიზიის საშუალებით მოსახლობას კიდევ ერთხელ შევახენეთ იმუნიზაციის მნიშვნელობაზე და მოვუწოდეთ აქტიურად ჩართულიყვნენ კოვიდ ვაქცინაციაში. ასევე ამ კვირეულის ფარგლებში შედგა შეხვედრები მოსახლეობასთან ბაზრობებსა და სავაჭრო ცენტრებში. ამ აქციის ფარგლებში მათ დაურიგდათ პირბადეები და საინფორმაციო ბუკლეტები კოვიდ ინფექციასთან დაკავშირებით და ჩაუტარდან საგანმანათლებლო საუბრები კოვიდ ვაქცინაციის უსაფრთხოებასა და მნიშვნელობაზე.

კოვიდ ვაქცინაცია დაიწყო 15 მარტიდან. დღესდღეობით კოვიდ ვაქცინაციაში მონაწილეობას ღებულობს 15 სამედიცინო დაწესებულება. 2021 წელს ჩატარდა: ასტრა ზენეკას 6631 აცრა, ფაიზერის 106079 აცრა, სინოფარმის 46001 აცრა და სინოვაკის 12799 აცრა.

2021 წელს რუტინული აცრებში მოცვის მაჩვენებლები შემდეგია: ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა 94%, „ბ" ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 95%, ჰექსაქსიმი V3 90%,

წწყ ვაქცინა 1 წლის ასაკში 93%, წწყ 5 წლის ასაკში 67%, ტეტრაქსიმი R1 73%, ტეტრაქსიმი R2 66%, ტეტანუსი დიფთერია 14 წლის ასაკში 48 &

ასევე პროგრამის ფარგლებში ხდება აცრის შემდგომი გართულებების შესწავლა და ამ შემთხვევების ანგარიშგება.

დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში: ყოველთვიურად ხორციელდება პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებიდან შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მიღება, ანალიზი და წარდგენა დკსჯეც-ის იმერეთის ზონალურ სამსახურში, ასევე მათი ელექტრონულ მოდულში დამუშავება. საჭიროებისამებრ ხდება დაწესებულებებზე კომბინირებული ტესტებისა და სახარჯი მასალის გაცემა.

პროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში კვლევა ჩაუტარდა 3325 ორსულს და კვლევის შედეგად გამოვლინდა 59 „ბ" ჰეპატიტის, 23 „ც" ჰეპატიტის, 10 სიფილისისა და 1 შიდსით ინფიცირების შემთხვევები, რომლებსაც ჩაუტარდათ შემდგომი კონფირმაციული კვლევა.

ტუბერკულოზი სახ.პროგრამის ფარგლებში

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა კონტაქტების კვლევა.ასევე ფილტვგარეშე ტუბერკულოზის კონტქტების კვლევა იმ შემთხვევაში,თუ დაავადებული ინფიცირებულია იავ ინფექციით ან არის ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი.ეს კვლევა გულისხომბს მათ გამოკვლევას ლატენტურ/აქტიურ ტუბერკულოზზე სპეციალური დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდებით. ასევე ხორციელდება მეთვალყურეობა დაკარგულ ან ურჩ პაციენტთა მოძიება და ჩაბმა მკურნალობის პროცესში.ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული ტუბეკულოზით დაავადებული პაციენტების მეთვალყურეობა.

2021 წლის მანძილზე დაფიქსირდა ტუბერკულოზის 19 შემთხვევა.აქედან მგბ(+)6 , მგბ(-) 13. განხორციელდა კონტქტში მყოფ40 პირზე სკრინინგული გამოკვლევა, რომელთაგან ერთს დაუდასტურდა ტუბერკულოზის მგბ უ;არყოფითი ფორმა გამოვლინდა 2 ურჩია პაციენტი,რომელთაგან ერთის ჩამბმა მოხერხდა მკურნალობის პროცესში.

C ჰეპატიტის სკრინინგის სახ.პროგრამის ფარგლებში

2021 წლის განმავლობაში ქ.ქუთაისის 16 სამედიცინო დაწესებულებზე(რომლებიც ჩართული არინ ამ პროგრამაში) გაიცა 4830 ცალი C ჰეპატიტის ტესტი სახარჯ მასალასთან ერთად.გამოკვლეულ იქნა ამდენივე ამბულატორიული პაციენტი. აქედა C ჰეპატიტზე სწრაფი ტესტით დადებითი აღმოჩნდა 257 პიროვნება. რაც შეეხება აივ/ ინფექცია შიდსის , C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის მუნიციპალურ პროგრამას

(რომელშიც მონაწილეობს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის 20 ოჯახის ექიმი),მის ფარგლებში სულ გამოკვლეულ იქნა 13190 პიროვნება. აქედან HCV-ზე დადებითი იყო 98 HIV-ზე 2, TB-ზე 0. ყველა იმ პირს ,ვინც C ჰეპატიტზე და აივ/ინფექცია შიდსის სწრაფ ტესტზე ჰქონდა დადებითი პასუხი, მიეცათ რეკომენდაცია კონფირმაციულ კვლევასა და მკურნალობის პროცესში ჩაბმაზე.

2021 წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყო სახელმწიფო პროგრამა აივ/ ინეფექცია შიდსის სწრაფი მარტივი ტესტით სკრინინგის პროგრამა ჰოსპიტალიზირებული პაციენტებისათვის.წლის ბოლომდე სტაციონარებზე გაიცა 2380 სწრაფი ტესტი.გამოკველული იქნა ამდენივე პაციენტი. დადებითი შემთხვევა დაფიქსირდა ერთ პიროვნებაში.მისი სისხლის შრატი გაიგზავნა შემდგომი ღრმა კომფირმაციული კველევისათვის საბოლოო დიაგნოზის დასვის დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში.

სამედიცინო სტატისიკის განხრით

2021 წლის იანვარ -თებერვალში შესწავლილი იქნა 2020 წლის ქუთაისის სამედიცინო საწესებულებების სტატისტიკური ანგარიშები.კერძოდ, სტატისტიკური ანალიზი გაკეთდა ქალაქში შობადობის, მისი გართულებების, გინეკოლოგიური ოპერაციების, კონტრაცეფციის ფორმების გამოყენების, სქესობრივი გზით გადამდების დაავადებების სიხშირის შესახებ (ფორმა IV-02), ასევე შესწავლილი იქნა დერმატოლოგიური პათოლოგიების სტატისტიკა(ფორმაIV- 06). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამედიცინო დაწესებულებებიდან ონკო ფორმების (ფორმაIV-30) მოწოდებას, რითაც საკმაოდ გაუმჯობესდა ონკოლოგიური პათოლოგიების გავრცელების სიხშირის და გამოვლენის შესწავლა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებების გატარება

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ 27.03.1997წ. გამოცემული N101/ო ბრძანებისა და 2001 წლის 10 იანვრის N17 განკარგულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ტრანსმისიული დაავადებების გადამტანების საწინააღმდეგო ეპიდზედამხედველობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას, გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწვლა-დადგენას, სამუშაოთა დაგეგმვას, წყალსატევების გამოკვლევას,აგრეთვე პრევენციულსა და მაკონტროლებელ ღონისძიებებს, 2021 წელს ჩატარებულ იქნა წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია.

ქალაქში ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილ სამ ტერიტორიულ ერთეულში (ავტოქარხნის დასახლება, გუმათის დასახლება, ქალაქის დანარჩენი ნაწილი) აღწერილ იქნა 48 ტიპის, გარემოში არსებული წყალსატევი 9,1 ჰა საერთო ფართობით. აქედან 8,8 ჰა მუდმივი, ხოლო 0,3 ჰა დროებითი წყალსატევია.

აგრეთვე, ქალაქის მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებულ სამკურნალო და

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განსაზღვრულ იქნა მწერების მიმართ ინსექტიციდებით დასამუშავებელი ფართობის მოცულობა.

აქედან გამომდინარე, პასპორტიზაციის საფუძველზე 3 პუნქტით განისაზღვრა შესასრულებელი საბონიფიკაციო სამუშაოების მთლიანი მოცულობა:

1) 41 მუდმივ, დახურული ტიპის შენობა- ნაგებობათა არასაცხოვრებელი ფართი, სარდაფები საჭიროებს 33 960 m^2- ზე ხელით შესასხურებელი აპარატით ინსექტიციდებით ორჯერადად დამუშავებას,(ორჯერადი დამუშავების ფართობი 67 920m^2) ამათგან, 28 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულება, 1 სასწავლო დაწესებულება მუშავდება ერთჯერადად 19 050 m^2-ზე(ორჯერადად 38 100m^2); ხოლო დანარჩენი 12სამკურნალო დაწესებულების დასამუშავებელი ფართობია 14 910m^2 (ორჯერადი დამუშავების ფართობიო კი 29 820m^2)

2) 48 ღია ტიპის წყალსატევიდან 18(32 000m^2 ფართობზე) საჭიროებს კოღოების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებას, კერძოდ, თევზი გამბუზიის გავრცელებას. დანარჩენი 30 წყალსატევიდან 2 დაგამბუზირებულია ბუნებრივად, ხოლო 28 წყალსატევში არ არსებობს გამბუზიის გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობები(ლელქაში, შლამი, დროებითად დამდგარი წყალი და სხვა) სხვადასხვა გარემოებათა გამო.

ჩვენს მიერ სავარაუდო ინფექციური კერების არსებობის შემთხვევაში მესამე პუნქტში გათვალისწინებულია სადეზინსექციო სამუშაოების ჩასატარებელი ხარჯები.

აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვას და შემდგომში შესრულებულ სამუშაოთა მონიტორინგს აწარმოებს ენტომოლოგი, ხოლო საბონიფიკაციო სამუშაოები 2020 წლის 21მაისის N 14-21 ხელშეკრულების საფუძველზე ეტაპობრივად სრულდება შპს.,,ქ.ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც. ეპიდზედამხედველობის" სამსახურის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ 2021 წელს გეგმიურად დამუშავდა 41 შენობა- ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფი) 67 920 m^2-ზე, სულ დაიხარჯა 2037.6 მლ/m^2 დელტამეტრინი 2,5% SC.

ასევე სადეზინსექციო სამუშაოები ჩატარებულ იქნა მესამე პუნქტით გათვალისწინებულ, ჩვენს მიერ წინასწარ მოკვლეულ 13 სავარაუდო ინფექციურ კერაში 5000m^2 ზე. დაიხარჯა 150 მლ/m^2 ზე დელტამეტრინი 2,5% SC.

კოღოს ნაჩეკების საწინააღმდეგოდ გამოყენებული იქნა ბიოლოგიური მეთოდი, კერძოდ, თევზი გამბუზია გავრცელდა 18 წყალსატევში 3,2 ჰა-ზე.

გარდა ამისა ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ,, მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესების კომპონენტის ფარგლებში წლის N331 26.04.2021 ხელშეკრულების საფუძველზე

მოხდა კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება, კერძოდ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების ინსექტიციდებით დამუშავება. სულ დამუშავდა 52ობიექტი 49 000მ² -ზე, დაიხარჯა 24,5კგ ინსექტიციდი ,,სოლფაკ WP-10"

სანიტარული ნორმების კონტროლისა და პრევენციის მიზნით

საქართველოს მთავრობის N473 დადგენილების საფუძველზე მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ 22 სილამაზის სალონში. შეივსო შესაბამისი კითხვარი. 2021 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი არ ამოწერილა. მიეცათ სიტყვიერი გაფრთხილება. პარალელურ რეჟიმში სილამაზისა და კომსმეტიკური პროცედურების სალონები მოწმდებოდა ჯანმდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ კოვიდრეგულაციების დაცვასთან დაკავშირებით.

2018 წლიდან ჩვენს ცენტრსა და თამბაქს კონტროლის ჩარჩო -კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორიგის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ვაწარმოებთ მონიტორინგს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით სასწავლო, სამედიცინო ,საჯარო დაწესებულებებში, ასევე სილამაზის სალონებში, კაფე-ბარებსა და რესტორნებში და ტრანსპორტში ..თამბაქოს რეკლამის მონიტორინგი გარე სივრცეებში.2021 წლის მანძილზე შემოწმებული იქნა 24 საჯარო დაწესებულება , 2 უმაღლესი სასწავლებელი, 28 საჯარო სკოლა,80 კაფე+ბარი და რესტორანი, 33 სასტუმრო, 72 სილამაზის სალონი, 86 სატრანსპორტო საშუალება,46 სამედიცინო დაწესებულება, 5 მედია ორგანიზაცია. გამოვლინდა დარღვევები ათ სილამაზი სალონში და მერიის დაქვემდებარებაში არსებულ რამოდენიმე აიპებში. მიეცათ სიტყვიერი გაფრთხილება. განმეორებით შემთხვევაში ინფორმაცია მიეწოდება შინაგან საქმეთა სამინისტოს შესამბამის სამსახურს.

კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს წარმოდგენილი საკითხი.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა რიჟამაძე